პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.

ოთხშაბათი,
21
აგვისტო
1935 წ.
№ 194 (4350)

საქართველოს
[illegible]
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ნომერში

— პარტიული დოკუმენტების შემოწმება („პრავდის“ მოწინავე).
— ფიზიოლოგთა საერთაშორისო კონგრესის დელეგატების სიტყვები კრემლის დიდ სასახლეში.
— ფიზიოლოგთა დელეგატები მოდიან საქართველოში.
— საქ. კ.პ. (ბ) ტფილისის კომიტეტის პლენუმი.
— აკად. პავლოვი თავის სამშობლო ქალაქში.
— საქართველოს სახკომსაბჭოს დადგენილება 1936 წლის სახალხო - სამეურნეო გეგმის შედგენის შესახებ.
— თამბაქოს ოსტატები იმარჯვებენ.
— აბისინიის მთავრობის წარმომადგენლის მიმართვა ლონდონში.
— უცხოეთის პრესა პარიზის კონფერენციის შესახებ.

პარტიული დოკუმენტების შემოწმება

პარტიამ თავის ამოცანად დაისახა — უმოკლეს ვადაში მოიყვანოს წესრიგში თავისი მეურნეობა: პარტიული ბილეთების გაცემა და შენახვა, პარტიის წევრთა აღრიცხვა, პარტიული არქივი და სხვ. პარტიული დოკუმენტების იმ შემოწმების აზრი, რომელიც ახლა ყველა ორგანიზაციაში ტარდება, ის არის, რომ პარტიის ორგანიზაციული მუშაობის ერთერთი უმნიშვნელოვანესი უბანი აიყვანოს პოლიტიკური ხაზის დონემდე, შეუფარდოს ეს უბანი იმ უდიდეს როლს, რომელსაც ბოლშევიკური პარტია ასრულებს.

ისეთი მუშაობა, რომელიც ეხება მთელ მასას, პარტიის წევრებსაც და კანდიდატებსაც. მუშაობა, რომელზედაც საოლქო და რაიონული ორგანიზაციები საკმაო ენერგიის ხარჯავენ, ბუნებრივად ხდება პარტიის ცხოვრების დიდ მოვლენად. ამ მუშაობის პოლიტიკური მნიშვნელობა არაერთხელ აღუნიშნავს ცენტრალურ კომიტეტს და, მიუხედავად ამისა, ორგანიზაციათა საგრძნობ ნაწილში დღემდეც არ არის განხორციელებული ცენტრალური კომიტეტის ძირითადი მითითებანი. ბევრ რაიონში შემოწმება ტარდებოდა ზერელედ, ფორმალურად, არ იჩენდნენ საკმაო სიფხიზლეს და არ ჰქონდათ შეგნებული ამ საქმისათვის სრული პასუხისმგებლობა.

სათანადო მუშაკებმა ვერ გაიგეს, რომ ლაპარაკია არა ბიოგრაფიული თარიღების ტექნიკურ შემოწმებაზე, არამედ იმაზე, რომ მთელი სერიოზულობით, ყოველმხრივ შევამოწმოთ ყოველი იმ პირის პარტიული კუთვნილება, რომელიც კომუნისტის საპატიო სახელს ატარებს, წავართვათ ბილეთები კულაკებსა და მტრებს. საკმარისია აღინიშნოს, რომ 190 რაიონში საჭირო შეიქნა შემოწმების ხელმეორედ დანიშვნა. ბევრ რაიონულ და საქალაქო ორგანიზაციაში დღემდე თითქმის არავითარ ახსნა - განმარტებითს მუშაობას არ აწარმოებენ. ამ დღეებში ყირიმის საოლქო კომიტეტმა თვითონ აღნიშნა: პარტიის საქალაქო კომიტეტებმა და რაიკომებმა ვერ შეაფასეს ცენტრალური კომიტეტის 13 მაისის წერილის მნიშვნელობა, ვერ განუმარტეს კომუნისტებს შემოწმების აზრი.

შემოწმების ხელმეორედ ჩატარება უმთავრესად გვიხდება ისეთ რაიონებში, სადაც ძალიან ნაჩქარევად ამოწმებდნენ, სადაც ყველაფერი „თავის რიგზე“ იყო. აქედან გამომდინარეობს დასკვნა: არ აჩქარდეთ, დიდი ყურადღებით მივუდგეთ თვითეულ შესამოწმებელ პირს, განსაკუთრებული გულმოდგინებით შევამოწმოთ თვითეული პარტიული დოკუმენტი, შევამოწმოთ ისე, რომ ზუსტად ვიხელმძღვანელოთ ცენტრალური კომიტეტის მითითებებით. ძალიან ეშმაკურად იქცეოდა მტერი, როცა იგი მოტყუებით ახერხებდა პარტიული ბილეთის მიღებას. იგი მიძვრებოდა პარტიულ აპარატში აღმრიცხველის თანამდებობაზე, რომელიც დღემდე შეუმჩნეველი იყო, და იპარავდა პარტიული ბილეთების სუფთა ბლანკებს. მტერი ფართოდ სარგებლობდა ისეთი მეთოდით, როგორიც არის ბილეთის მიღება „მოპარულის ნაცვლად“. პარტიულ აპარატში შემძვრალი ცალკეული კულაკები ახერხებდნენ 2-3 ბილეთის მიღებას პარტიის ერთ ნამდვილ წევრზე. მტერი გადააკეთებდა ხოლმე კომუნისტის მიერ დაკარგულ ან მისგან მოპარულ პარტიულ ბილეთს.

საჭიროა განსაკუთრებული სიფხიზლე, რომ ვამხილოთ მტრის მახინაციები. ხოლო ეს სიფხიზლე არ აღმოაჩნდა ბევრ რაიკომს. კიდევ მეტი — რაიონული ორგანიზაციების ცალკეულმა ხელმძღვანელებმა შემოწმების მიმართ გამოიჩინეს ლიბერალური დამოკიდებულება. ბევრი რაიონი, სადაც ახლა შემოწმება გაუქმებულია. შემოწმების დამთავრებას, უარყოფითი შედეგების მიუღებლად, ხსნიდა იმით, რომ ამ რაიონში კომუნისტთა უმრავლესობა — ძველი ხალხია, რაიონში ყველა კარგად იცნობს ერთმანეთს.

სინამდვილეში განმეორებითი შემოწმების შედეგებმა ყირამალა დააყენეს ეს ოპორტუნისტული, არაბოლშევიკური მსჯელობანი. მაგალითისათვის მოვიყვანთ ვორონეჟის ოლქს.

ამ ოლქის ბევრ რაიონში შემოწმებამ ცუდად ჩაიარა. ცენტრალურმა კომიტეტმა გააუქმა იგი და ხელმეორე შემოწმების განსაცვიფრებელი შედეგები: პირველი შემოწმების დროს ჩამორთმეული და გამოსარკვევად დაკავებული იყო სულ 892 პარტიული ბილეთი — შემოწმებულთა რიცხვის 8.3 პროცენტი. ხოლო განმეორებითი შემოწმების შემდეგ ივნისის უკანასკნელი რიცხვებისათვის დაკავებულ იქნა 4.403 პარტიული ბილეთი — შემოწმებულთა რიცხვის 17,7 პროცენტი.

შემოწმების პირველი შედეგები მოწმობენ, რომ პარტიული ორგანიზაციები დანაგვიანებულია მტრებით, რომლებსაც მოტყუების გზით მიუღიათ ბილეთები, რომ ჩამორჩენილია პარტიული მეურნეობა და პარტიული მუშაობა. აქედან დასკვნა უნდა გამოიყვანოს უკლებლივ ყველა პარტიულმა ორგანიზაციამ. და საქმე მარტო ის კი არ არის, რომ დავიჭიროთ ცალკეული კულაკები, ცალკეული შენიღბული თეთრგვარდიელები, ტროცკისტები. მტრისთვის ნიღბის ჩამოგლეჯის დროს საჭიროა ბოლომდე შევამოწმოთ, თუ ვისთან ჰქონდა მას კავშირი, ბოლომდე გამოვამჟღავნოთ თუ რა მიზნით შეძვრა მტერი პარტიაში, აღმოვაჩინოთ მისი თანამონაწილეები.

პარტიული მეურნეობის შემოწმება — ეს არ არის მარტო ბრძოლა პარტიული ბილეთების აღრიცხვასა და შენახვაში არსებული ორგანიზაციული თავაშვებულობისა და უმსგავსოებათა წინააღმდეგ. ამ შემოწმების ერთერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა ის არის, რომ ავამაღლოთ პარტიული მუშაობის საერთო დონე, გამოვიყენოთ ორგანიზაციის თვითეული წევრის დაწვრილებით გაცნობა იმისათვის, რომ უკეთ შევისწავლოთ მუშაკები, წამოვაყენოთ ახალი კადრები. მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ ხშირად კომუნისტი დიდხანს რჩება ისეთ სამუშაოზე, რომელიც უკვე არ შეეფერება მისი ცოდნის დონეს, მის პოლიტიკურ დონეს.

შემოწმების ასეთ საფეხურზე უკვე დგებიან მოსკოვისა და ლენინგრადის რაიონული ორგანიზაციები. ლენინგრადის ორგანიზაციაში პარტიული დოკუმენტების შემოწმება ბევრ საქარხნო ორგანიზაციაში ხელს უწყობდა მთელი პარტიული მუშაობის გამოცოცხლებას. ლენინგრადშიაც და მოსკოვშიაც ცალკეული რაიონები შემოწმებას უკვე ათავსებენ კადრების დამატებით შესწავლასთან. ამან არამც თუ დახმარება გაგვიწია გაგვეწმინდა ჩვენი რიგები უცხო ადამიანებისაგან, მტრებისაგან, არამედ მოგვცა მტკიცე აქტივისტთა ახალი რეზერვები. ლენინგრადის ცენტრალური რაიონში შემოწმების შედეგად რაიკომმა საჭიროდ სცნო შემოწმებულთა რიცხვიდან პარტიულ სამუშაოზე დაეწინაურებინათ 465 კომუნისტი. შემოწმებულთა რიცხვიდან 109 კაცი შერჩეულია რაიკომის პარტიულ რეზერვში. აი კიდევ ერთი ილუსტრაცია: ლენინგრადში, ქარხანა „პროგრესში“ შემოწმებამდე პარტიულ კრებებს ესწრებოდა კომუნისტთა 80 პროცენტი, ხოლო შემოწმების შემდეგ ესწრება დაახლოვებით 100 პროცენტი. ჩვეულებრივ პარტიულ კრებებზე გამოდიოდა 5—10 კაცი, ხოლო ახლა გამოდის 35—40 კაცი. ასეთი ფაქტები შეიძლება მოვიყვანოთ მოსკოვის ორგანიზაციის ცალკეულ საწარმოებშიც: ელექტროქარხანა, ნოგინის სახელობის ფაბრიკა (სერპუხოვი).

ცუდი იქნება იმ ორგანიზაციის ხელმძღვანელი, რომელშიაც შემოწმება საწინააღმდეგო შედეგებს მოგვცემს. ხოლო ასეთი ფაქტები ცოტა როდია. მოიპოვებიან რაიკომების ისეთი მდივნები, რომლებიც პარტიული მუშაობის შენელებას ხსნიან იმით, რომ მთელ დროს შემოწმებას ვანდომებთო. სწორედ ეს არის იმის გაუგებლობა, თუ რას ნიშნავს პარტიული დოკუმენტების შემოწმება, რა მიზნებს ისახავს იგი; ეს არის ცენტრალური კომიტეტის მითითებათა გაუგებლობა.

ცენტრალური კომიტეტის დირექტივების ბოლშევიკურად განხორციელება იმას ნიშნავს, რომ შევამოწმოთ უფრო ღრმად და უფრო გულდასმით, შევაერთოთ შემოწმება მთელი პარტიული მუშაობის ამაღლებასთან. ეს იმას ნიშნავს, რომ უკეთ შევისწავლოთ მუშაკები და უფრო ნიჭიერნი, შემოწმებულნი დავაწინაუროთ ახალ, უფრო პასუხსაგებ სამუშაოზე.

(„პრავდა“, 20 აგვისტო).

საქ. კ. პ (ბ) ტფილისის კომიტეტის პლენუმი

გუშინ, 20 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სხდომის დარბაზში შესდგა ტფილისის კომიტეტის პლენუმი.

პლენუმი გახსნა ამხ. გ. არუთინოვმა. დღის წესრიგში იდგა სამი საკითხი:

1. პარტიულ დოკუმენტთა შემოწმების მიმდინარეობის შესახებ ტფილისის პარტორგანიზაციაში.
2. 1935 წელს ექსპლოატაციაში შემავალი კომუნალური მშენებლობის ობიექტების შესახებ და
3. ორგანიზაციული საკითხები.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქ. კ.პ. (ბ) ტფილისის კომიტეტის მდივანი ამხ. მ. გობეჩია. ამხ. გობეჩიამ პლენუმს გააცნო საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივების საფუძველზე პარტიული დოკუმენტების შემოწმების მიმდინარეობა ტფილისის პარტორგანიზაციაში და აღნიშ[illegible] პარტიული დოკუმენტების შემოწმების შესახებ საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი დადგენილების უდიდესი მნიშვნელობა.

ამხ. გობეჩიას მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს: ამხ. **ცეცხლაძემ, ბერიაშვილმა, კუჯიაშვილმა, დოლიძემ, ხერუმიანმა, ლეკვიაშვილმა და კუციამ.** კამათის დასასრულ სიტყვით გამოვიდა საქ. კ.პ. (ბ) ტფილისის კომიტეტის მდივანი ამხ. **გ. არუთინოვი.**

მეორე საკითხზე მოხსენებით გამოვიდა ტფილისის საბჭოს თავმჯდომარე **მ. ნიორაძე.** ამხ. ნიორაძის მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო ოთხმა ამხანაგმა.

პლენუმმა ორივე საკითხზე მიიღო სათანადო რეზოლუცია.

დასასრულ, პლენუმმა ტფილისის კომიტეტის ბიუროს წევრად აირჩია ამხ. **მ. ნიორაძე** და ბიუროს წევრობის კანდიდატად ამხ. **გ. ახალაძე.**

ფიზიოლოგთა 15 საერთაშორისო კონგრესის

დელეგატების სიტყვები კრემლის დიდ სასახლეში

17 აგვისტოს გამართული დარბაზობის დროს

მოსკოვი, 19 აგვისტო. 17 აგვისტოს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა კრემლის დიდ სასახლეში ფიზიოლოგთა მე-XV საერთაშორისო კონგრესის დელეგატების პატივსაცემად გამართა დარბაზობა. დარბაზობის დროს მთელმა რიგმა უცხოელმა და საბჭოთა დელეგატებმა წარმოსთქვეს სიტყვები, რომლებშიაც ამხ. მოლოტოვის სახით მადლობა გადაუხადეს საბჭოთა მთავრობას იმ დახმარებისათვის, რომელიც მან ფიზიოლოგთა მე-XV საერთაშორისო კონგრესს გაუწია. ამავე დროს გამოსულმა დელეგატებმა დამსწრეთ გაუზიარეს თავიანთი აზრი საბჭოთა კავშირში მეცნიერების მდგომარეობის შესახებ.

როცა ამხ. მოლოტოვმა სიტყვა მისცა ფიზიოლოგთა მე-XV საერთაშორისო კონგრესის თავმჯდომარეს **ი. პ. პავლოვს,** ყველა დამსწრე მქუხარე ოვაციით მიესალმა უდიდეს მეცნიერს, საბჭოთა ფიზიოლოგიური მეცნიერების უხუცესს.

„თქვენ გაიგონეთ და ნახეთ, — ამბობს ივანე პეტრესძე, მიმართავს რა უცხოელ სტუმრებს, — თუ რა განსაკუთრებით ხელსაყრელი მდგომარეობა უჭირავს მეცნიერებას ჩემს სამშობლოში. ის ურთიერთობა, რომელიც შეიქმნა ჩვენში სახელმწიფო ხელისუფლებასა და მეცნიერებას შორის, მე მინდა დავასურათო მარტო ერთი მაგალითით: ჩვენ, სამეცნიერო დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, მუდამ გვაშინებს და გვაწუხებს ერთი გარემოება — შევძლებთ თუ არა ჩვენ გავამართლოთ ის სახსრები, რომლებსაც მთავრობა გვაძლევს“.

(ამხ. მოლოტოვი ადგილიდან: „დარწმუნებული ვართ, რომ აუცილებლად გაამართლებთ“. მქუხარე ტაში).

„როგორც თქვენ უკვე იცით.— განაგრძობს აკადემიკოსი პავლოვი, — მე თავით ფეხამდე ექსპერიმენტატორი ვარ. მთელი ჩემი ცხოვრება ექსპერიმენტებისაგან შესდგებოდა. ჩვენი მთავრობაც — ექსპერიმენტატორია, მხოლოდ გაცილებით უფრო მაღალი კატეგორიის. მე ძალიან მსურს ვიცოცხლო, რათა დავინახო ამ ისტორიული სოციალური ექსპერიმენტის ძლევამოსილად დამთავრება“.

ი. პ. პავლოვმა დღეგრძელობა უსურვა „დიდ ექსპერიმენტატორებს“, რასაც დამსწრენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

საფრანგეთის დელეგაციის სახელით **ანრი მაიერი** აცხადებს, რომ ამ დელეგაციის წევრები საბჭოთა კავშირიდან „წაიღებენ ღრმა და დაუვიწყარ შთაბეჭდილებას იმ ქვეყნის შესახებ, რომელშიაც ხდება მატერიალურ და სულიერ ღირებულებათა შემოქმედების თავისი გაქანებით უმაღლესი პროცესი“, იმ ქვეყნის შესახებ, რომელმაც მიზნად დაისახა სოციალური უსამართლობის მოსპობის დიდი მიზნები.

„ჩვენ ვიცით, სთქვა მაიერმა. რომ თქვენი მთავრობა, როცა ასეთ განსაკუთრებულ და ყოველმხრივ დახმარებას უწევს მეცნიერებას, ამას იგი სჩადის არა მარტო იმიტომ, რომ სწორად აფასებს მეცნიერების პრაქტიკულ მნიშვნელობას თქვენი ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, არამედ იმიტომაც, რომ იგი სცდილობს უზრუნველჰყოს ქვეყნის სულიერი აყვავება, შექმნას უკეთესი პირობები ინდივიდუალური სამეცნიერო შემოქმედებისათვის. ამით თქვენი მთავრობა მთელს მსოფლიოს აძლევს იმის მაგალითს, თუ როგორ უნდა მოეკიდონ მეცნიერებას, და ამ მაგალითს თქვენი ქვეყნის საზღვრებს გადაღმა ყველა სერიოზულად უნდა დაუფიქრდეს.

ჩვენ მადლობას გწირავთ, — ამბობს დასასრულ საფრანგეთის დელეგატი, — იმისათვის, რომ თქვენ საშუალება მოგვეცით ვყოფილიყავით მოწმენი იმ დიდი ისტორიული სანახაობისა, რომელიც თქვენს ქვეყანაში გადაიშალა“.

პროფესორი **ოტო ლევი** (ავსტრია) აცხადებს, რომ ფიზიოლოგთა კონგრესის დელეგატები განცვიფრებაში მოიყვანა იმ ღრმა ინტერესმა, რომელსაც ასე დიდად იჩენენ საბჭოთა კავშირის მშრომელი მასები მეცნიერებისადმი.

„საზღვარგარეთ,—ამბობს იგი,— ჯერ კიდევ ბევრია ცრურწმენა და არ ესმით, თუ რა ხდება საბჭოთა კავშირში. მაგრამ თქვენი დიდი კულტურული მშენებლობის უდაო ფაქტები ცრურწმენათა იმ სქელ კედელშიაც კი იკვლევენ გზას.

საბჭოთა მეცნიერება ვითარდება, ჯერ ერთი — მეცნიერებისადმი თვით სწავლულთა უსაზღვრო ერთგულების და სიყვარულის ბაზაზე, მეორე — მთავრობის ყოველმხრივი დახმარების და ხელშეწყობის ბაზაზე, მესამე — იმის ბაზაზე, რომ საბჭოთა კავშირის ხალხთა მასებს აქვთ მეცნიერების დიდი პატივისცემა და რწმენა და, მეოთხე — იმ ღრმა ინტერნაციონალიზმის ბაზაზე, რომლითაც გამსჭვალული არიან თქვენი მეცნიერები და თქვენი ქვეყნის მმართველი ადამიანები“.

„საბჭოთა კავშირში, — ამბობს დასასრულს პროფესორი ლევი, — იწყება მეგობრობის, ხელოვნების და მეცნიერების აყვავების ხანა. მე ღრმად მწამს თქვენი ქვეყნის და თქვენი ხალხის დიდი მომავალი“ (ტაში).

პროფესორი **აზარ ხილი** (ინგლისი) იმ შთაბეჭდილების გამო, რომელიც მოახდინა მასზე ფიზიოლოგთა საერთაშორისო კონგრესის წევრთა დარბაზობამ ამხ. ვ. მ. მოლოტოვთან, ამბობს:

„მე წინათ არასოდეს არ მინახავს მთავრობის ხელმძღვანელი მოღვაწის ასეთი განსაკუთრებით გულისხმიერი დამოკიდებულება მეცნიერებისადმი, კერძოდ ფიზიოლოგიისადმი. თქვენი მთავრობის წევრებთან პირადი ურთიერთობის შემდეგ ჩვენთვის კიდევ უფრო ნათელი გახდა, თუ რატომ უწევს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ხელისუფლება ფიზიოლოგიას ასეთ ინტენსიურ და დიდსულოვან დახმარებას. საქმე ის არის, რომ ფიზიოლოგია — თავისი ბუნებით — მშვიდობიანი მეცნიერებაა, რომლის მიღწევანი არ შეიძლება გამოყენებულ იქნას არც იმისათვის, რომ გადავწვათ მოწინააღმდეგეთა სახლები და ჩავძიროთ მტრების ხომალდები, არც იმისათვის, რომ ვხოცოთ ადამიანები, არამედ შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ იმისათვის, რომ შევიცნოთ ადამიანის ორგანიზმის საიდუმლოება, უკეთ ვუმკურნალოთ მის დაავადებას და გავახანგრძლივოთ მისი სიცოცხლე.

ხოლო თქვენი მთავრობა არის მშვიდობიანობისათვის მებრძოლი მთავრობა. და სწორედ ამიტომ აკეთებს იგი ესოდენ ბევრს მშვიდობიანი ფიზიოლოგიური მეცნიერებისათვის საბჭოთა კავშირსა და მთელს მსოფლიოში, ამიტომ არის რომ ჩვენ, ფიზიოლოგიური კონგრესის დელეგატები, მივესალმებით და მადლობას ვუძღვნით თქვენს მთავრობას“ (ტაში).

გერმანიის დელეგატი პროფ. **ებეკე** მიმართავს ამხ. მოლოტოვს და მადლობას უხდის მას იმ მეგობრული შეხვედრისათვის, რომელიც ფიზიოლოგთა კონგრესის დელეგატებს მოუწყეს და იმ დახმარებისათვის, რომელიც ამ კონგრესს აღმოუჩინეს.

„ლენინგრადსა და მოსკოვში, — ამბობს პროფესორი ებეკე, — ჩვენ ვნახეთ მეფეებისა და თავადების ყოფილი სასახლეები. ჩვენც ყველგან ისე გვღებულობდნენ, როგორც მეცნიერების თავადებს. მაგრამ ჩვენზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინეს მეცნიერების თანამედროვე სასახლეებმა, რომლებშიც მუშაობენ თქვენი ქვეყნის სწავლულები — დიდი პავლოვი, ორბელი, უხტომსკი და სხვები.

ჩვენ ვნახეთ, რა ბევრი რამ კეთდება თქვენს ქვეყანაში მეცნიერებისა და სწავლულებისათვის. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ დამყარებული კულტურული კავშირი კი არ გაწყდება, არამედ, პირიქით, განმტკიცდება და გაფართოვდება. (ტაში).

პროფესორი **იორდანი** (ჰოლანდია) ლაპარაკობს საბჭოთა მეცნიერებაზე, როგორც „ღრმა სახალხო მეცნიერებაზე, რომელიც ფართოდ და გონიერულად ვრცელდება მოსახლეობის მშრომელ მასებში“.

„თქვენი ქვეყანა, — ამბობს პროფესორი იორდანი, — ეს არის შესანიშნავი მშენებლობის — სამეურნეო, სამეცნიერო, კულტურული მშენებლობის ქვეყანა. მეცნიერების მიღწევანი ამ მშენებლობის ინტერესებს ემსახურებიან. ბიოლოგებმა იციან, რომ ყოველ ცოცხალ არსებას შეუძლია განვითარდეს მხოლოდ მის შესაფერ წრეში. საბჭოთა ქვეყანაში მეცნიერებისათვის შექმნილია შესანიშნავი წრე, სადაც მას შეუძლია იცოცხლოს, განვითარდეს, წავიდეს წინ ახალი დიდი მიღწევებისაკენ“. დასასრულ პროფესორმა იორდანმა განაცხადა, რომ „რამდენიმე ასეული უცხოელი დელეგატი დასტოვებს საბჭოთა კავშირის საზღვრებს, როგორც მის მიერ შეძენილი ახალი და საიმედო მეგობრები“. ამ განცხადებას დამსწრენი ტაშით ხვდებიან.

ფიზიოლოგთა, ბიოქიმიკოსთა და ფარმაკოლოგთა საკავშირო საზოგადოების გამგეობის სახელით უკანასკნელი გამოდის პროფესორი რაზენკოვი. მან განაცხადა, რომ საბჭოთა ფიზიოლოგები დიდად კმაყოფილი არიან თავიანთ უცხოელ კოლეგებთან შეხვედრით.

„ჩვენი საბჭოთა ფიზიოლოგია, — ამბობს პროფესორი **რაზენკოვი,** — მსოფლიო ფიზიოლოგიურ მეცნიერებაში შევიდა არა მარტო როგორც ჩვენი სამეცნიერო საქმის თანასწორუფლებიანი თანამშრომელი, არამედ თავისი განსაკუთრებული ინდივიდუალური სახითაც. ამ განსაკუთრებულ ხასიათს მას აძლევს: ჯერ ერთი, ჩვენს ქვეყანაში ფიზიოლოგიური მეცნიერების განვითარების ისტორიული წარსული, დაწყებული სეჩენოვის ნაშრომებით, პავლოვის და მისი სკოლის კლასიკური ნაშრომებით, სკოლის, რომელის რიგებსაც ეკუთვნის ჩვენი ქვეყნის ფიზიოლოგთა უმრავლესობა, და მეორე—ჩვენი ქვეყნის სოციალისტური გარდაქმნის პირობები, რომლებშიაც ცხოვრობს და ვითარდება, საბჭოთა თანამედროვე ფიზიოლოგია. იმის მთელი მნიშვნელობა, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება და რისი მოწმენიც თქვენ ახლა იყავით მდგომარეობს იმაში, რომ კაცობრიობის ისტორიაში ეს პირველი შემთხვევაა, როცა ადამიანის შრომა მოქცეულია მთელი საზოგადოებრივი კოლექტივის ყურადღების და მზრუნველობის ცენტრში. ეს დიადი სოციალისტური გარდაქმნა, რომელიც როგორც თავისი გაქანებით, ისე თავისი მნიშვნელობით არ შეედრება კაცობრიობის ისტორიის არც ერთ წარსულ მომენტს, არ შეიძლება განხორციელებულ იქნას ისე, თუ მას განუწყვეტელი ორგანიული კავშირი არ ექნა ადამიანის ცოდნის ყველა მრავალფეროვან დარგთან. აი იმის ერთერთი მიზეზი, თუ რათ აფასებენ ასე დიდად მეცნიერებას ჩვენს ქვეყანაში.

ის ფართო დახმარება, რომელიც ჩვენმა საბჭოთა მთავრობამ კონგრესს გაუწია, წარმოადგენს იმ განსაკუთრებული ყურადღების და მზრუნველობის დამატებით ილუსტრაციას, რომლითაც გვეკიდება ჩვენ, საბჭოთა ფიზიოლოგებს, ჩვენი საბჭოთა ხელისუფლება და განსაკუთრებით ჩვენი ბელადი და ჩვენი შემოქმედებითი მუშაობის სულის ჩამდგმელი ამხანაგი სტალინი (მქუხარე ხანგრძლივი ტაში მთელი დარბაზი ფეხზე დგება)

ყოველივე ამისათვის ჩვენ, საბჭოთა ფიზიოლოგები, ბიოქიმიკოსები და ფარმაკოლოგები უდიდეს მადლობას ვწირავთ ჩვენს საბჭოთა მთავრობა სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ვიაჩესლავ მიხეილისძე მოლოტოვის სახით. (მქუხარე ხანგრძლივი ტაში, ყველა დამსწრე ფეხზე ამდგარი ესალმება ამხანაგ მოლოტოვს).

დელეგატები მოდიან საქართველოში

მოსკოვი, 19 აგვისტო. (სპეც. კორ.) დღეს 16 საათზე სპეციალური მატარებლით მოსკოვიდან გამოემგზავრა ფიზიოლოგთა საერთაშორისო კონგრესის უცხოელი დელეგატების ექსკურსია ასი კაცის შემადგენლობით. ექსკურსიას თან ახლავს კონგრესის ვიცე-პრეზიდენტი, დამსახურებული პროფესორი **ბერიტაშვილი.**

დელეგაცია შეჩერდება ხარკოვში, როსტოვში და 23 აგვისტოს საღამოს საქართველოს სამხედრო გზით ჩამოვა ტფილისში, სადაც დაათვალიერებს ფიზიოლოგიურ ინსტიტუტს, მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ბიოლოგიურ სექტორს, მუზეუმებს და ქალაქის სხვა ღირსშესანიშნავ ადგილებს.

25 აგვისტოს საღამოს დელეგაცია გაემგზავრება ბორჯომში, იქიდან 26 აგვისტოს — ბათომში, იალტაში, ოდესაში, კიევში და შემდეგ საზღვარგარეთ.

შეიქმნა კომიტეტი ფიზიოლოგთა კონგრესის დელეგატების შესახვედრად

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის ა.-წ. 16 აგვისტოს დადგენილებით, გამოიყო კომიტეტი ფიზიოლოგთა მე-15 საერთაშორისო კონგრესის დელეგატების შესახვედრად. კომიტეტის შემადგენლობა: ამხ. მამალაძე (თავმჯდომარე), ცომაია (საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისრის მოადგილე), გორდელაძე (საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისრის მოადგილე), ფალავა (აჭარისტანის ჯანმრთელობის სახალხო კომისარი), ანჩაბაძე (აფხაზეთის ჯანმრთელობის სახალხო კომისარი), ორაგველიძე (სახელმწიფო უნივერსიტეტი), კვირიკაძე (საქართველოს ცაკი), პროფ. ბერიტაშვილი (სახელმწიფო უნივერსიტეტი), პროფ. ვაწაძე (სამედიცინო ინსტიტუტი), პროფ. ჯანელიძე (სახელმწიფო უნივერსიტეტი), პროფ. თვალჭრელიძე (სახ. უნივერსიტეტი) და ქ. გორ[illegible]ძე (სსრკ-ის სამეცნიერო აკ[illegible]ლიალი).

აკად. პავლოვი თავის სამშობლო ქალაქში

რიაზანი, 19 აგვისტო. აკადემიკოსი ი. პ. პავლოვი რიაზანში ჩამოვიდა ღამის 2 საათზე და დილის 9 საათამდე სალონ-ვაგონში ისვენებდა.

რიაზანი გულთბილად შეხვდა თავის დიდ თვისტომს, დილის 9 საათზე ვაგზალზე ი. პ. პავლოვის შესახვედრად მივიდნენ: პარტიის რაიკომის მდივანი ამხ. შიუკინი, რაიაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ბარანიკოვი, ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. კუზნეცოვი, სამედიცინო საზოგადოების წარმომადგენლები პროფესორ კუდრიავცევის მეთაურობით, მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები საბჭოთა, პროფკავშირთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა, აგრეთვე რიაზანის მუშათა დელეგაცია.

მისასალმებელი სიტყვებით ი. პ. პავლოვს მიმართეს რაიკომის მდივანმა ამხ. შიუკინმა და ბიოლოგმა ამხ. მალინინამ. ივანე პეტრეს-ძემ მხურვალე მადლობა გადაუხადა ყველას მეგობრული შეხვედრისათვის და სთქვა:

— დიდად მიხარია, რომ მოვედი აქ, სადაც დიდი ხანია მომწევდა გული, — იმ ქალაქში, სადაც დავიბადე და აღვიზარდე.

ვაგზალიდან ივანე პეტრეს-ძე თავისი ოჯახით წავიდა ქალაქის საბჭოს მიერ მისთვისა და მისი ოჯახისათვის მიჩენილ სახლში.

ბაღში მცირე ხნის დასვენების შემდეგ ივანე პეტრეს-ძე წავიდა იმ სკოლის დასათვალიერებლად, სადაც იგი სწავლობდა. ახლა იქ მოთავსებულია პედაგოგიური ინსტიტუტი და სამხედრო სკოლა. შემდეგ ივანე პეტრეს-ძე იყო სასაფლაოზე, სადაც მისი მშობლები მარხია (ადს).

საქართველოს სსრ 1936 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის შედგენის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. აგვისტოს 15 დადგენილება

ა.-კფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის აგვისტოს 10-ის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს ყველა რესპუბლიკურ უწყება-ორგანიზაციას და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) წარადგინონ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიაში არა უგვიანეს მიმდინარე წლის სექტემბრის 8-სა რესპუბლიკური და ადგილობრივი ქვემდებარეობის მეურნეობის დარგთა განვითარების გეგმები 1936 წლისათვის განმარტებითი ბარათებით, ხოლო სადარგო - საფინანსო გეგმები წარუდგინონ სახელმწიფო საგეგმო კომისიას და ფინანსთა სახალხო კომისარიატს არა უგვიანეს სექტემბრის 13-სა;

ბ) წარადგინონ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიაში არა უგვიანეს სექტემბრის 10-სა—1936 წლის გეგმების შესაბამისად ზედმიწევნით დამუშავებული განაცხადები ნედლეულზე, სათბობ მასალაზე, სხვადასხვა მასალაზე და მოწყობილობაზე 1936 წლისათვის;

გ) ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა წარუდგინონ არა უგვიანეს მიმდინარე წლის სექტემბრის 13-სა საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს 1936 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის საკონტროლო ციფრების პროექტები.

2. დაევალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს წარადგინონ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიაში არა უგვიანეს მიმდინარე წლის სექტემბრის 8-სა ადგილობრივი მეურნეობის განვითარების გეგმები 1936 წლისათვის, სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ სახელმძღვანელოდ მიცემული ფორმებისა და მითითებების მიხედვით.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას წარადგინოს ა.-კ.-ის სახელმწ. საგეგმო კომისიაში მიმდინარე წლის სექტემბრის 15-სათვის რესპუბლიკური და ადგილობრივი ქვემდებარეობის სახალხო მეურნეობის დარგთა განვითარების გეგმების პროექტი, ხოლო საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატმა წარადგინოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიაში და ა.-კფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატში 1936 წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტისა და ადგილობრივი ბიუჯეტის საკონტროლო ციფრების პროექტი.

4. დაევალოს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მომქმედ საკავშირო ორგანიზაციებს და საწარმოებს წარადგინონ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიაში მიმდინარე წლის სექტემბრის 20-სათვის იმ გეგმების ასლები, რომელთაც ისინი ადგენენ ცენტრში.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს პროფესიულ კავშირთა საბჭოს წარუდგინოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას და ფინანსთა სახალხო კომისარიატს არა უგვიანეს მიმდინარე სექტემბრის 20-სა 1936 წლის სოციალური დაზღვევის ბიუჯეტის პროექტი.

6. დაევალოს საქართველოს სსრ შინავაჭრობის სახალხო კომისარიატს, ცეკავშირს და ყველა მოვაჭრე ორგანიზაციას წარუდგინონ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას არა უგვიანეს მიმდინარე წლის სექტემბრის 15-სა საქონელბრუნვის გეგმა 1936 წლისათვის.

7. გეგმების თავის დროზე შედგენისა და განხილვის უზრუნველყოფის მიზნით, სახელმწიფო საგეგმო კომისიამ, სახალხო კომისარიატებთან ერთად, გეგმების შედგენის სამუშაოთა სავსებით დამთავრებამდე (სექტემბრის 8) განიხილოს ხოლმე გეგმების დანახაზები ცალკეულ დარგებისა, ობიექტებისა და მაჩვენებლების მიხედვით და შეიტანოს მათში კორექტივები შედგენისა და დამუშავების პროცესში.

8. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას—1936 წლის სახალხო მეურნეობის გაერთიანებული გეგმა, ხოლო საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს—1936 წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტისა და ადგილობრივი ბიუჯეტის საკონტროლო ციფრების პროექტები წარმოუდგინონ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად მიმდინარე წლის სექტემბრის 25-სათვის.

9. დაევალოს ყველა უწყებას და ორგანიზაციას—1936 წლის კაპიტალური მშენებლობის გეგმები შეადგინონ მშენებლობის ღირებულების შემცირების ანგარიშში მიღებით, როგორც ცალკეული დარგების, ისე ცალკეულ ობიექტთა მიხედვით.

10. აეკრძალოს ყველა სახალხო კომისარიატს და ორგანიზაციას, რესპუბლიკურ ორგანოებში გეგმების განხილვამდე, მისცენ შვებულება იმ მომუშავეთ, რომელნიც მონაწილეობას ღებულობენ 1936 წლის გეგმების შედგენა-დამუშავებაში, და წინადადება მიეცეს მათ, საჭირო შემთხვევაში, გამოიწვიონ ხოლმე ხსენებული მომუშავენი შვებულებიდან.

11. ა.-კფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიმდინარე აგვისტოს 10-ის დადგენილების თანახმად, გაფრთხილებულ იქნენ სახალხო კომისარიატები და დაწესებულებები, რომ 1936 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმა უნდა შედგენილ და დამუშავებულ იქნეს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ სახელმძღვანელოდ მოცემული ყველა მაჩვენებლისა და ფორმის მიხედვით და წარდგენილ ამა დადგენილებით დაწესებულ ვადებზე სათანადო ტექნიკურ-ეკონომიური დასაბუთებით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე
გ. მგალობლიშვილი

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი
ა. ქავთარაძე

აბისინიის მთავრობის წარმომადგენლის მიმართვა ლონდონში

ლონდონი, 19 აგვისტო. აბისინიის მთავრობის წარმომადგენელმა გამოაქვეყნა მიმართვა თავისუფალი ირლანდიის სახელმწიფოს უნივერსიტეტებისადმი, რომლითაც იგი იწვევს ჯარში ნამსახურ ექიმებს შევიდნენ სამხედრო სანიტარო კორპუსში, რომელსაც აბისინია ადგენს.

ხარარიდან მიღებული ცნობით, აბისინიის მთავრობა ჰგზავნის ჯარის დიდ ნაწილებს ლოლოს მიმართულებით იტალიის სომალის საზღვრების ახლო. ჯარის ეს მოულოდნელი გადაადგილება გამოწვეულია ცნობით, რომ იტალიელები მდინარე ჯუბას სათავესთან აკეთებენ ხიდებს „თავიანთი სამხედრო ოპერაციების გასაადვილებლად“. (ადს).

უცხოეთის პრესა პარიზის კონფერენციის ჩაშლის შესახებ

პარიზი, 19 აგვისტო. პრესა მეტად შეშფოთებული კილოთი მსჯელობს ინგლის - საფრანგეთ - იტალიის კონფერენციის ჩაშლის საკითხზე. თითქმის ყველა გაზეთი პესიმისტურად უცქერის მოვლენათა შემდგომ განვითარებას.

„პტი პარიზიენის“ სიტყვით საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში და ინგლისის დელეგაციის წრეებში არ მალავენ, რომ მეტად მცირეა იმის იმედი, რომ იტალია - აბისინიის კონფლიქტი მშვიდობიანად დაბოლოვდება.

„ჟურნალი“ აღნიშნავს სიტყვების თამაშის უსარგებლობას.

ინგლის - საფრანგეთ - იტალიის კონფერენცია კი არ შესწყდა. არამედ მან საბოლოო მარცხი განიცადა. „ეკო დე პარი“ სწერს:

„სამი სახელმწიფოს კონფერენცია დამთავრდა“. „ევრი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იტალიის მთავრობას დაუთმეს იმდენი, რამდენის მოთხოვნაც მას შეეძლო მხოლოდ ომში გამარჯვების შემდეგ. „ომი, აცხადებს „ევრი“, ახლა უკვე აუცილებელია“. (ადს).

ინგლისის პრესა ავიაციის დღესასწაულის შესახებ ტუშინოში

ლონდონი, 19 აგვისტო. გაზეთები ფართოდ აღწერენ საჰაერო დღესასწაულს, რომელიც მოეწყო ტუშინოში ავიაციის დღეს. განსაკუთრებით აღნიშნავენ პარაშუტისტების მასობრივი გადმოხტომას. „დეილი ტელეგრაფის“ მოსკოველი კორესპონდენტი სწერს საბჭოთა კავშირის „მეორე სპეციალობაზე“ — საჰაერო მატარებელზე, კორესპონდენტის სიტყვით, საჰაერო მატარებლები „ჩინებულად იყო ნაჩვენები“. (ადს)

საბჭოთა სპორტსმენების წარმატებანი პარიზში

პარიზი, 17 აგვისტო. დღეს პორშინგის სტადიონზე საბჭოთა კავშირის ფეხბურთელებმა მოიგეს შეჯიბრება ჰოლანდიის გუნდთან ანგარიშით 11:0.

საბჭოთა კავშირის კალათბურთის ქალთა გუნდმა მოიგო შეჯიბრება საფრანგეთის სპორტსმენებთან ანგარიშით 49:1.

ვინსენის ტყის სტადიონზე საბჭოთა ველოსიპედისტმა დიმიტრი სოლოვიოვმა მიაღწია რეკორდს, რომელიც დაწესებული იყო საერთაშორისო სპორტული ფედერაციის მიერ. მან 38 მეტრიან ველოდრომზე 38 წუთსა და ორ მეხუთედ წამში შემოუარა.

ამხ. ლ. ი. ზახაროვის ხსოვნას

ლენინური კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი და თავდაცვა - ავიაქიმის ცენტრალური საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ საბრძოლო პოსტზე გარდაიცვალა ამხ. ლეონიდ იაკობისძე ზახაროვი, კომკავშირელი პარაშუტისტი, რომელსაც ჰქონდა 11 გადმოხტომა პარაშუტით, იყო ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის ქარხნის „შარიკოპოდშიპნიკის“ დამკვრელი და დაიღუპა ა. წ. 18 აგვისტოს დავალების შესრულების დროს.

საქ. ლ.ა.კ.კ. ც. კ-ტი და თავდაცვა - ავიაქიმის ცენტრალური საბჭო თავის სამძიმარს უცხადებს დაღუპული კომკავშირელი პარაშუტისტის, სოციალისტური სამშობლოს ერთგული შვილის, ამხ. ზახაროვის მშობლებს, ნათესავებს და მის ყველა ამხანაგს.

კომკავშირის [illegible] კ-ტი და თავდაცვა - ავია[illegible] რწმუნებულნი არიან, რომ ჩვენი მამაცი ახალგაზრდობა და უმამაცესი კომკავშირელები უფრო მაღლა აწევენ საბჭოთა ავიაციისა და პარაშუტიზმის ამაყ დროშას, ზედმიწევნით დაეუფლებიან საავიაციო, საპლანერო და საპარაშუტო საქმის ტექნიკას.

ლენინური კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი.

თავდაცვა ავიაქიმის ცენტრალური საბჭო.

მოსკოვი, 19 აგვისტო. სსრ კავშირის სახკომსაბჭომ გამოიტანა გადაწყვეტილება — ა. წ. 18 აგვისტოს საბრძოლო პოსტზე დაღუპულ კომკავშირელი — პარაშუტისტის ამხ. ლეონიდ იაკობ[illegible] დაკრძალვის ხარჯ[illegible] სახელმწიფომ.

[illegible] 14 აგვისტო [illegible]ლაქო კომი[illegible]ვის საბჭოს გაზეთი).

დაღუპული [illegible]

პატარა ფელეტონი

„ფედიკო! მამაშენი აღმოვაჩინეთ

სალამი ფედიკო!

ქვეყანამ წაიკითხა შენი წერილი შენი უსულგულო მამისადმი.

მას შემდეგ თითქმის ოცმა დღემ განვლო. დავიჭირეთ მამაშენს. ჩვენი მუშკორები შეუდგნენ ამ საქმეს. რესპუბლიკის პროკურორმა ამხ. ამბროსი რამიშვილმა მიიღო ზომები. რედაქციას წერილები მოსდიოდა დიდებისა და პატარებისაგან, რომლებიც გამოსთქვამენ თავიანთ გულისწყრომას ვალიკოს საქციელის გამო და შენ გიცხადებენ თანაგრძნობას. ხედავ რამდენ ხალხს წაუკითხავს შენი წერილი?

სხვათაშორის შენი წერილი წაუკითხავს გულქვა მამაშენსაც, მაგრამ წაუყრუებია. ის წაუკითხავს აგრეთვე ვალიკოს ახალ ცოლსაც. ძალიან გაბრაზებულა.

ახლა თვითონ მამაშენის შესახებ. შენ ის გეგონა ახალციხეში, ის კი ყოფილა ასპინძაში. ასპინძიდან ის გამქრალა გურიაში, თავი ამოუყვია ლანჩხუთის რაიონში, სადაც ქვეშური ხერხით წამოსკუპებულა სოფელ ბაკეთის საქმიან პუნქტის გამგედ.

ფედიკო, შენ იწერებოდი ის თურმალიო, მას კი ექიმად გაუსაღებია თავი. და ექიმის ჩოხაში გახვეული ნადირობდა კოლმეურნე გლეხებზე, რომელთაც თითო ნემსის გაკეთებაში 15—20 მანეთს ახდევინებდა. უამრავ ფულს აჭირებს და შენ კი ერთ გროშსაც არ გიგზავნის. შენ დაარქვი, ფედიკო, რა სახელიც უფრო მოუხდება ასეთ „მამას“.

შენ გგონია, ფედიკო, რომ მარტო შენ და დედაშენი დაგტოვა მან უპატრონოდ.. არა. მას ეს ხელობად გაუხდია. თქვენს შემდეგ მან კიდევ მიუტოვებია ერთი წყება ცოლშვილი. და ახლა მესამე ყავს. ეს შენთვის და დედაშენისთვის ახალი ამბავი იქნება.

ფედიკო! ხომ გახსოვს რა ულტიმატუმს ვუყენებდი მე ვალიკოს. ის დაუყოვნებლივ შენი წერილის წაკითხვის შემდეგ უნდა გამოცხადებულიყო შენთან, კარდანახში, მოეტანა შენთვის საჩუქრები და მოენანიებია დანაშაული.

მან ეს არ ინება. წაიკითხა და წაიყრუა. სანამ არ ჩამოაბრძანეს რესპუბლიკის პროკურატურაში, მას არ უგრძნია თავისი მოვალეობა შენს მიმართ.

მე ხომ ვაფრთხილებდი; ხელობს ერთმანეთს არ შევხვდეთ სამსჯავროს კედლებში-თქო. მან ეს გაფრთხილება არაფრად ჩააგდო.

მან ახლაც არ იცის, რომ მე მას შევხდი რესპუბლიკის პროკურორის კაბინეტში და მოვისმინე ყველაფერი, რასაც ის მიედ-მოედებოდა რესპუბლიკის პროკურორის შეკითხვების საპასუხოდ. მან არ იცის, რომ სწორედ მე შევყურებდი მას უტიფარ თვალებში, როცა ის პირიქით თქვენ გაყვედრიდა — ქონება დაუტოვე სახლიდან არაფერი წამიღიაო. აი მოისმინე რა პასუხს აძლევს ის პროკურორს.

რესპუბლიკის პროკურორი. — ჩვენ უნდა მოგვაგონოთ თქვენი მოვალეობა თქვენი ბავშვისადმი? რითი დაეხმარეთ თქვენ ბავშვს ამ რვა წლის განმავლობაში.

ვალიკო — სამაგიეროდ მე სახლიდან არაფერი არ წამიღია.

პროკურორი — რა უნდა წამოგეღო?

ვალიკო — შამული მქონდა, ნივთები მქონდა..

პროკურორი — თქვენ კარდანახელი მეპატრონე ხართ? მგონი ძაძამიძეები არ არიან კარდანახში.

ვალიკო — არა.

პროკურორი — მაშ, ჩასიძებული ყოფილხართ ხომ.

ვალიკო — დიახ! ზესიძე გახლდით.

პროკურორი — ესე იგი, სხვის ოჯახში შედით, სხვის ქონებას დაეპატრონეთ.. შემდეგ ცოლიც მიატოვეთ, შვილიც მიატოვეთ, და დიდ „კეთილშობილებად“ მიგაჩნიათ, რომ ქონება თან არ წამოიღეთ?.

რას უპასუხებდა ამაზე მამაშენი. ენა ჩაუვარდა. თითქმის გაწითლდა კიდეც მაგრამ მას სიწითლე დიდათ არ ეკიდება.

ბევრი ასეთი „მარგალიტები“ დააბნია მამაშენმა რესპუბლიკის პროკურორთან. მაგრამ გაზეთის ფურცლებზე აღარ ღირს მეტის გამოტანა.

დანარჩენს შემდეგშიც მოვასწრებთ. დანარჩენს იქნებ სულ ახლო მომავალში, როცა შენს ვალიკოს ჩამოიყვანთ კარდანახში და შენს თვალწინ, შენს პირისპირ გავასამართლებთ საჯაროდ. ასეთია რესპუბლიკის პროკურორის გადაწყვეტილება, ასეთია საბჭოთა საზოგადოებრიობის მოთხოვნა.

ნახვამდის ფედიკო! თანახმად დაპირებისა ამ ფელეტონის ჰონორარს მთლიანად გიგზავნი შენ. ოღონდ წადი, ვიდრე მამაშენს დავაკაკლინებდეთ შენს სარჩოს.

ზერმან შუბიძე.

ფედიკოსთან

(ჩვენი კორესპონდენტისაგან)

[illegible] დავალებით მე ვინახულე კარდანახში ფედიკო ძაძამიძე და [illegible].

[illegible] ფედიკო პატარა ბიჭია, პიონერის წოდებით გალსტუკით და გახუნებული ჩითის პერანგ-შარვალში გამოხვეული. ფეხებზე უზარმაზარი დახეული ჩუსტები წამოუცვამს და რომ სიარულისაგან ფეხიდან არ გასძვრეს ბაწრებით აუკრავს.

მე გამოვეკითხე დედა-შვილს, მათი მდგომარეობა, გაზეთში წერილის გამოქვეყნების შემდეგ მოიკითხა თუ არა ქმარმა და სხვა.

— მადლობელი ვარ ჩვენი კეთილი მთავრობის, რომ ის ადამიანებს ასე მზრუნველობით ეპყრობა; ჩემი ბიჭი ავად არის, ქვეშა არა აქვს და ტანი და ფეხი არ აცვია.

— მამამ არა გამოუგზავნარა მას შემდეგ?

— ერთი ხაში თუმანი მიუგზავნა, ხოლო სხვა არაფერი არ შემოუთვლია, ისიც ალბად გაზეთში, რომ წაიკითხა შერცხვა. [illegible] გავიგე სადაც არის.—აგრეთვე პიონერებიდან წერილებიც მივიღე, მამიდებენ „ნუ შეშინდები, მარჯვედ იყავიო“ —ჩაერია საუბარში პატარა ფედიკო და ერთი ბლუჯა წერილები გადმომცა.

მე წავიკითხე წერილები პიონერები აღტაცებით, გულით და სულით ესალმებიან მას და ამხნევებენ.

ალ. გვინჩიძე

განსაკუთრებული მოსაზრებისა და სიმამაცის მაგალითი

ხაბაროვსკი, 19 აგვისტო. გაზეთ „ტრევოგას“ მოჰყავს კომკავშირელ მეთაურის მელნიკოვის შემთხვევა, რომელმაც განსაკუთრებული სიმამაცე და მოსაზრება გამოიჩინა.

როცა მელნიკოვი თვითმფრინავიდან გადმოხტა, მისი პარაშუტი არ გაიშალა — ჩალიჩივით დაიგრიხა. პარაშუტისტმა 3-ჯერ ჩამოჰკრა სტროპებს, მაგრამ უშედეგოდ. მელნიკოვი სწრაფად უახლოვდებოდა მიწას. მან შეინარჩუნა სიმშვიდე და გამოსწია სათადარიგო პარაშუტის რგოლს, რომლის გუმბათიც ვერ გაიშალა, რადგან შემოეხვია ძირითად პარაშუტს. მელნიკოვმა ძლივს დაიჭირა სტროპები, მოსწია თავისკენ სათადარიგო პარაშუტი და მეორედ ჰკრა ხელი. პარაშუტი არც ახლა გაიშალა.

ერთი წამის დაუკარგავად მელნიკოვმა მეორედ შეკუმშა პარაშუტი და მესამეჯერ მაგრად ჰკრა ხელი. მიწამდე 10 მეტრი ღა იყო დარჩენილი. ამ დროს მელნიკოვმა იგრძნო ბიძგი, პარაშუტი გაიშალა და პარაშუტისტი მშვიდობიანად დაეშვა მიწაზე.

ნაწილის სარდლობამ მელნიკოვი მის მიერ გამოჩენილი სიმამაცისა და მოსაზრებისათვის წარადგინა დასაჯილდოვებლად (ატს).

□ □ □

საბჭოთა პლანერისტების მსოფლიო რეკორდები

ბაიმაკი (ბაშკირეთის ასსრ), 19 აგვისტო. სსრ კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის საპლანერო ექსპედიციის მონაწილეებმა ურალზე ახალი მსოფლიო რეკორდები დაამყარეს.

პლანერისტმა რასტორგუევმა ორადგილიანი პლანერით დაამყარა ფრენის სიშორის რეკორდი. ღრუბლიანი ფრონტით პლანერ „შ-5“-ზე მგზავრ ნოვიკოვთან ერთად მან სწორი გზით გაიარა 149 კლმ. (ბაიმაკიდან სადგურ ტერენსაიმდე).

სამარშრუტო ფრენის ახალი რეკორდი დაამყარა პილოტმა კუზმინმა. პლანერ „შ-52“-ზე მგზავრ რეზნიკოვთან ერთად კუზმინმა გაიარა 142 კლმ. და ჩამოაგდო ალამი მარშრუტის თავსა და ბოლოში (ატს).

□ □ □

კატასტროფული სიძლიერის გრიგალი

დონის როსტოვი, 19 აგვისტო. ქალაქს არაჩვეულებრივი სიძლიერის გრიგალმა გადაუარა. ქარის ძალა 12 ბალს აღწევდა. ძლიერმა სეტყვამ მიწა ყინულის სქელი ფენით დაჰფარა. ქუჩებში ყოველგვარი მოძრაობა შესწყდა. გაჩერდა ტრამვაები, ავტობუსები და ავტომობილები, ქალაქის ცენტრში არსებული ცირკი „შაპიტოური“ დაინგრა.

სეტყვა უეცრად შესცვალა ძლიერმა ნიაღვარმა და ქარიშხალმა. ქალაქის დაბლობ ადგილებში წალეკილია მთელი რიგი სახლები, ბინები და დაწესებულებები. ქუჩები ჩქარ მდინარეებად გადაიქცა. ქალაქში მეხმა დაახლოებით 15 ცხენი მოკლა.

ნანგრევების, წყალდიდობისა და ქარიშხალის დროს დაიჭრა 20-დე კაცი. 15 კაცამდე დაიღუპა.

ქარიშხალის დროს ქალაქის სხვა[illegible] გაჩნდა ხანძარი, [illegible] ნაწილებმა [illegible]

როსტოვის სასოფლო - სამეურნეო მანქანათა ქარხანაში ქარმა ჩამოგლიჯა გაზოგენერატორული სადგურის სახურავი და კომბინატის სამჭედლოს სახურავის ნაწილი. წყლით ავსო თბოელექტროცენტრალი და საამქროთა სარდაფები.

ელექტროგაყვანილობის გაფუჭების გამო მუშაობა შესწყვიტა ლენინის სახელობის ორთქლმავალსარემონტო ქარხანამ. ქარხანა „ტრუბოლიტში“ დაინგრა ცეცხლსაფარეში. წალეკილია საკონდიტრო ფაბრიკა და ლუდის ქარხანა. როსტოვში ერთი საათით შეფერხდა ჩქარი სამგზავრო მატარებელი № 22 მოსკოვი - სოჭი. როსტოვის სადგურის მთავარი ხაზები წალეკილია შლამით.

ქარმა რკინისგზის ლიანდაგიდან გადააგდო ოთხი სატვირთო ვაგონი.

წინასწარი ცნობებით, გრიგალმა დაანგრია 26 სახლი და ამოაგდო 67 ხე.

თამბაქოს ოსტატები იმარჯვებენ

ეცნობით ლაგოდეხის რაიონში თამბაქოს შეტეხვის მიმდინარეობას და რწმუნდებით, რომ საკოლმეურნეო შრომამ თავისი ნაყოფი გამოიღო. თამბაქოს პლანტაციები უხვ მოსავალსაც იძლევიან. სოფ. ვარდისუბნის კოლმეურნეობაში ბრიგადირ დ. კაპანაძის ნაკვეთზე ჰექტარიდან 16 ცენტნერ თამბაქოს მოელიან. კოლმეურნეობა „ოქტომბრის ქარიშხალში“ 15 ცენტნერს. ეს კოლმეურნეობანი გამონაკლისს როდი წარმოადგენენ.

საერთოდ რაიონში გეგმით გათვალისწინებულ 10,3 ცენტნერის ნაცვლად საშუალოდ ჰექტარიდან აიღებენ არა ნაკლებ 11 ცენტნერისა.

რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ ამ წარმატებას მიაღწია იმით, რომ თამბაქო დროულად დარგეს და დამუშავება კარგადაც ჩაატარეს. მეთამბაქოეებს დიდ სტიმულს აძლევს აგრეთვე თამბაქოს დამზადების გადიდებული ფასები და ჯილდო-წინამატების სისტემა კონტრაქტაციის გეგმის ზევით ჩაბარებული თამბაქოსათვის.

მაგალითად, სოფელ ვარდისუბნის საქ. ა. კ. კ. მეათე ყრილობის სახ. კოლმეურნეობა წელს სახელმწიფოს ჩააბარებს 579,5 ცენტ. თამბაქოს რაშიც მიიღებს 193.765 მან. გეგმის ზევით ჩააბარებს 410 ცენტ. რისთვისაც დამატებით აიღებს 246.294 მან.

რაიონში თამბაქოს მოსავლის გაცხარებული აღებაა. პირველი შეტეხვა რაიონმა ვადაზე ადრე დაამთავრა. მეორე შეტეხვის გეგმა ჰექტარებში—10 აგვისტოსათვის შესრულებული იყო 72 პროცენტით. გაჩაღებულია მესამე შეტეხვა. მთელი რიგი კოლმეურნეობები (შრომა, ვარდისუბანი) დამკვრელურად აწარმოებენ მეოთხე და მეხუთე შეტეხვას.

გულმოდგინეთ ეკიდებიან კოლმეურნეობები თამბაქოს შეტეხვის ხარისხს. სოფელ თამარიანის კოლმეურნეობა „წინსვლის“ ფართობზე თამბაქოს ფოთოლს გარე ნაწილზე მოყვითალო ბაცი წინწკლები დასჩენია. მცხუნვარე მზე უხვად უგზავნის ენერგიას, რის გამო ფოთლები ოქროსავით ჩაყვითლებულა. ეს ნიშანია ფოთლის ტექნიკურად მომწიფების და აი კოლმეურნეებიც დაკარწახებული მუშაობენ შეტეხვაზე.

ყურადღებას იპყრობს კოლმეურნე ქალი ნინა კვერნაძე. იგი ჩამდგარა თამბაქოს ორ მწკრივ შორის და ორივე რიგის მცენარეებიდან ტეხს თამბაქოს ფოთოლს. ცერს ზევიდან დააჭერს ხოლმე ფოთოლი ყუნწს ღეროსთან, ხოლო საჩვენებელ თითს ქვევიდან ისე ამოსდებს, რომ ყუნწის მოტეხისას ღერო არ ზიანდება. კვერნაძე დილა ადრიან გადის სამუშაოდ და დაღამებისას ბრუნდება.

კვერნაძისთანა დამკვრელი კოლმეურნე ქალები ლაგოდეხის რაიონში ბლომად მოიპოვებიან.

როგორც წესი ტარდება მოტეხილი თამბაქოს იმავე საღამოს აიმსვა და დახარისხება. ამ საქმეზე გამოყოფილია დახელოვნებული კოლმეურნეები. სოფელ მშვიდობიანის „ახალგაზრდა კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობაში კოლმეურნე კატუშა ორჯონიკიძე 30 შნურის (თითო შნური ხუთ ნახევარი მეტრია) ნაცვლად დღეში 50 შნურს აცმევს. კატუშა აიმსვისას ფოთოლს ძაფზე ანაწილებს ზომიერად: არც სქლად და არც თხლად, რადგან პირველ შემთხვევაში შესაძლებელია ფოთოლი ჩახურდეს, ხოლო მეორე შემთხვევაში ფოთოლი უცბად შრება და ეცემა მისი ხარისხი.

აღსანიშნავია, რომ თამბაქოს მთელი სამუშაოები (შეტეხვა, აიმსვა ფოთლის ჩაყვითლება) მიმდინარეობს სოციალისტური შეჯიბრების ნიშნით. საქართველოს და აზოვ-შავიზღვის მხარეს შორის გამოცხადებულმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ ლაგოდეხელ კოლმეურნეებში დამკვრელობის ახალი აზვირთება გამოიწვია.

— ჩვენი რაიონი ეჯიბრება აბინსკის რაიონს (აზოვ-შავიზღვის მხარე) და ვიბრძვით პირველობის მოპოვებისათვის,—აცხადებენ აქ.

წელს ლაგოდეხის რაიონმა სახელმწიფოს უნდა ჩააბაროს 2829 ტონა თამბაქო. ეს გეგმა სავსებით რეალურია, მაგრამ დამზადებისათვის წინასწარი მუშაობა ჯერ კიდევ არ გაუჩაღებიათ. მიმღები პუნქტების შეკეთების ვადა კარგა ხანია ამოიწურა. ეს სამუშაო მკვდარი წერტილიდან არ დაძრულა. არც მწონავთა კადრია შერჩეული. 12 სასწორი შეუკეთებელია.

ყველა ამ სამუშაოებს ხელმძღვანელობს ლაგოდეხის საფერმენტაციო ქარხნის დირექცია (დირექტორი ამხ. მ. წერეთელი). მას როგორც სჩანს თამბაქოს დამზადებისათვის მზადება აქ ჯერ კიდევ ნაადრევად მიაჩნია. ეს კი არ არის სწორი.

თ. კუნჭულია.

ლაგოდეხი, 15 აგვისტო.

□ □ □

კომუნისტის სიგნალის შემდეგ

,,კოლმეურნეობის მიწებს წარამარა არიგებენ''

ამ სათაურით „კომუნისტის“ ივლისის ნომერში მოთავსებული იყო კორესპონდენცია, რომელიც ეხებოდა სოფ. მოედნის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. ალ. ბუღიანიშვილის უკანონო მოქმედებას. მას ბრალი ედებოდა სახ. სამ. არტელის ახალი წესდების დარღვევასა და კოლმეურნეობის მიწების თვითნებურად განაწილებაში.

როგორც საქ. კ.პ. (ბ) ონის რაიკომი გვატყობინებს, კორესპონდენციაში მოყვანილი ფაქტები მთლიანად დადასტურდა.

სტალინური წესდების უხეშად დარღვევისა და კოლმეურნეობის მიწების თვითნებურად განაწილებისათვის ონის პარტრაიკომის ბიურომ ონის სახ. საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ს. შერაზადაშვილს გამოუცხადა სასტიკი საყვედური.

კოლმეურნეობაზე მიმაგრებულ პარტკანდიდატს ამხ. ნიკო ბურდილაძეს, რომელმაც იცოდა ამ მდგომარეობის შესახებ და თავის დროზე არ აცნობა შემდგომ ორგანოებს, გამოეცხადა საყვედური.

რაიკომის ბიურომ დაავალა მიწგანის გამგეს ამხ. ქაფიანიძეს დასვას საკითხი მოედნის კოლმეურნეობის საერთო კრებაზე კოლმეურნეობის თავმჯდომარის ამხ. ბუღიანიშვილის არასწორი მოქმედების შესახებ. მისთვის სათანადო სასჯელის დასადებად.

გაუქმებულ იქნა მოედნის კოლმეურნეობის არასწორი დადგენილება სამოსახლო ნაკვეთების გაცემის შესახებ. წინადადება მიეცა რაიმიწგანს დაუბრუნოს კოლმეურნეობას ის ფართობი, რომელიც არასწორად იყო გაცემული სამოსახლოებად.

მიწგანის გამგეს ამხ. ქაფიანიძეს დაევალა უზრუნველყოს მიწათმოწყობის დროს დაშვებული შეცდომების დაუყოვნებლივ გამოსწორება.

სურათზე: სცენა ბალეტიდან „პოემა გრაგილაზე“.

აისედორა დუნკანის სახელობის თეატრ-სტუდიის გასტროლები

1-ლი სექტემბრიდან ტფილისში იწყება აისედორა დუნკანის სახელობის სახელმწიფო თეატრ-სტუდიის გასტროლები. თეატრი ახლახან დაბრუნდა ამერიკიდან, სადაც იგი მოგზაურობდა ორი წლის განმავლობაში.

★

აისედორა დუნკანმა დიდი როლი ითამაშა კლასიკური ცეკვის რეფორმის საქმეში. მან ბრძოლა გამოუცხადა იდეალისტურად განყენებულ ცეკვას და მასში შეიტანა სპორტული ელემენტები, ჯანსაღი, მოქნილი სხეულის კულტი. დუნკანის ცეკვა—ეს ხალისიანი რეალიზმია.

დუნკანი ოცნებობდა ცეკვის საშუალებით [illegible] კაცობრიობა ფიზიკურად. 1905 წელს ის ბერლინის მახლობლად აარსებს სკოლას. ამ სკოლაში მოსწავლე ახალგაზრდა ქალებისგან ის არ ფიქრობს მოცეკვავეების მომზადებას, „აქ საქმე ეხება მხოლოდ სრულყოფილ ქალების განვითარებას და ლამაზ, ჯანსაღ ბავშვების დაბადებას“.

იმპერიალისტური ომის დროს სკოლა ბერლინიდან პარიზში გადაიტანეს, შემდეგ კი ამერიკაში. დუნკანის გეგმების განხორციელებას ხელს უშლის მატერიალური სახსრების ნაკლებობა. ერთ დროს ის [illegible] მაშინდელ მინისტრ ვენიზელოსთან, რომ ძველი ელადის [illegible] მოეწყოს ევროპული სკოლა ჯანსაღი ქალისა, რომელიც დუნკანის აზრით, ეგვიპტელ, ბერძენ, იტალიელ და ძველად მცხოვრებ ყველა სხვა ქალზე ლამაზი იქნება.

ოქტომბრის რევოლუციამ ახალი იმედები [illegible] დუნკანს. 1921 წელს ის გადადის მოსკოვში, რათა აქ მოაწყოს პროლეტარულ ბავშვთა კოლონიები და აღზარდოს ისინი თავისი მეთოდით. ინტერვენციის და ბლოკადის მძიმე წლებმა ხელი შეუშალა აისედორა დუნკანის გეგმების ფართო მასშტაბით განხორციელებას. მაგრამ სკოლა მაინც დაარსდა მოსკოვში 1921 წელს. სკოლაში მიღებულ იქნა მოსკოვის მუშების შვილები და საბავშვო სახლების ბავშვები 7—9 წლის ასაკამდე. სკოლამ რამდენიმე წლიწადის შემდეგ მოგვცა პირველი გამოშვება. ამ დროიდან სკოლამ აისედორა დუნკანის სახელი მიიღო და სტუდიად გადაკეთდა. სტუდია იზრდებოდა, მტკიცდებოდა, მისი გამოსვლები დიდი წარმატებით სარგებლობდა.

1927 წლის 9 სექტემბერს ავტომობილის კატასტროფის დროს ნიცაში აისედორა დუნკანი ტრაგიკულად დაიღუპა, მაგრამ მის მიერ შექმნილი სტუდია ნაყოფიერად მუშაობს. სტუდიამ შემოიარა თითქმის მთელი მსოფლიოს თეატრები. 14 წლის განმავლობაში რვა წლის ბავშვები თანამედროვე ბალეტის დიდ ოსტატებად გადაიქცნენ. თეატრი ახლახან დაბრუნდა ორი წლის საგასტროლო მოგზაურობიდან ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში, სადაც [illegible] ქალაქში გამოდიოდა და 400 წარმოდგენა გამართა. აისედორა დუნკანის სახელობის თეატრ-სტუდია პირველად მოდის ტფილისში.

სტუდიის რეპერტუარში შედის უდიდესი კომპოზიტორების —ჩაიკოვსკის, შოპენის, შუბერტის, შუმანის, გრიგის, სკრიაბინის, მოცარტის, გლუკის და სხვების ნაწარმოებები და ცეკვა „რევოლუციის ცეკვები“, მ. გნესინის—„პოემა გრაგილაზე“, შუმანის—„კარნავალი“.

□ □

ახალი მაღაზიები

აგვისტოს ბოლო რიცხვებში პლეხანოვის პროსპექტზე № 112 გაიხსნება ტფილისის სამომხმარებლო ორგანიზაციათა კავშირის სპეციალიზირებული მუსიკალური მაღაზია, სადაც გაიყიდება ყოველგვარი მუსიკალური ინსტრუმენტები: პიანინო, როიალი, პატეფონი, ელექტროფონი, ფირფიტები და ჩასაბერი ინსტრუმენტები. ეწყობა კავკასიური ინსტრუმენტების—თარის, ჩონგურის, ქამანჩის, დოლის, ზურნის და სხვათა გასაყიდი განყოფილება.

მაღაზიასთან ეწყობა სპეციალური ბიბლიოთეკა ფირფიტებისა, რომლებიც შეიძლება გაქირავებულ იქნას განსაზღვრულ საფასურში. ამ ბიბლიოთეკისათვის „ცენტროსოიუზმა“ გამოჰყო 10 ათასი ცალი სხვადასხვაგვარი ფირფიტა, რომელთა შორის არის ფოქსტროტები, ტანგო, სიმღერები, „მხიარული ახალგაზრდობიდან“ და სხვ.

★

ტფილისის სამომხმარებლო ორგანიზაციათა კავშირმა მიიღო მაჯის საათების (1600 ცალი) პირველი პარტია. კედლის, ჯიბის და ხელის საათების მიღების შემდეგ რუსთაველის პროსპექტზე № 41 გაიხსნება სპეციალიზირებული საათების მაღაზია.

ანგარიშს უწევს რა მოსახლეობის მოთხოვნილებას, ტსოკ-ი ამ მაღაზიაში აწყობს საათების სარემონტო სახელოსნოს. საათის პატრონს შეუძლია ჩასმის, საათის გაწმენდის და შემოწმების გარდა, აქ შეუძლია კაპიტალურად შეაკეთოს თავისი საათი მცირე საფასურის გადებით.

სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ

„კომუნისტის“ 12 აგვისტოს ნომერში დაიბეჭდა საქართველოს სახკომსაბჭოს დადგენილება „საქართველოს სსრ სოფლებსა და ქალაქებში 1936 წელს სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ“.

სახკომსაბჭოს საქმეთა სამმართველო გვატყობინებს, რომ, ვინაიდან მის მიერ გამოგზავნილ ტექსტში შეცდომა იყო გაპარული, ამ დადგენილების მე-2 მუხლის პირველი ნაწილი ასე უნდა იკითხებოდეს:

„შემოღებულ იქნას 1936 წელს სასოფლო-სამეურნეო მცენარეების ნათესების (გარდა ბოსტნებისა, ბაღჩებისა და სანერგეებისა), აგრეთვე ბაღების და ვენახების მოსავლის დაზღვევა წყალდიდობის, დაზვერის, ჩახარშვის და დალპობისაგან —იმ სადაზღვევო საზღაურის ნორმების მიხედვით, რაც დაწესებულია სასოფლო-სამეურნეო კულტურების სეტყვისაგან დაზღვევისათვის (ზემოაღნიშნული დადგენილების მე-2 დანართი), და შემდეგი სადაზღვევო ტარიფებით (სადაზღვევო საზღაურის 100 მანეთზე): კოლმეურნეობებსა და პირველადი კოოპერატივებისათვის —2 მან. 10 კაპ. კოლმეურნეებისათვის— 3 მან. 90 კაპ. და ერთპიროვნული მეურნეობებისათვის 5 მან.“

□

ხანძარი

19 აგვისტოს, დღის 1-ლ საათზე დიდუბის შესახვევში მდებარე საცხოვრებელ დარაბებს № 12 და 14 გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც სწრაფად მოედო სახურავს და დარაბებზე მოდგმულ მოქ. ვ. ზაქარიანის, ე. თუმასიანის, ა. ბკოფოვის, მ. მალაფეევას, ვ. არუთინოვის და ი. ყაბინის ოთახებს.

შემდეგ ცეცხლი გადავიდა ქუთაისის ქუჩაზე მდებარე № 5 სახლზე, სადაც ცეცხლისაგან ძლიერ დაზარალდა მოქ. ა. მიხაილოვას ბინა.

მეზობლების და მილიციის მუშაკების დახმარებით შესაძლებელი გახდა დაზარალებულთა ყველა ძვირფასი ნივთის გადარჩენა.

ხანძრის ჩაქრობაში მონაწილეობას იღებდა სამი სახანძრო რაზმი, რომელთა მუშაობას დიდად აფერხებდა წყლის სუსტი წნევა წყალსადენში, რის გამო ცეცხლისმქრობელი რაზმი იძულებული შეიქნა მტკვრიდან ამოეტანა წყალი. ცეცხლი ჩააქრეს ნაშუადღევის 3 საათზე. ცეცხლმა გაანადგურა დარაბები № 12 და 14 მიდგმული ნაგებობებით და № 5 სახლის ნაწილი ქუთაისის ქუჩაზე. ზარალს არკვევენ.

როგორც დამსწრეთა ჩვენებიდან სჩანს, ხანძარი გამოიწვია ვიღაც ხულიგნის მიერ ცეცხლმოკიდებულ კატას, რომელსაც ცეცხლი შეუტანია ჩარდახზე, სადაც ბურბუშელა ინახებოდა.

გამოძიება სწარმოებს.

□

შემთხვევები

გაუფრთხილებელი სვლა. [illegible] ქუჩაზე № 2 მარშრუტის ტრამვაის ვაგონმა, რომელსაც მართავდა ვატმანი ო. ა. თურმანიძე, დაეჯახა ხუთი წლის ა. ბ. კრაილაშვილს (ბოლცმანის ქ. № 5) და სასიკვდილოდ დაშავა. ვატმანი შეიპყრეს.

ავტომობილების დაჯახება. 18 აგვისტოს საღამოს 6 საათზე რუსთაველის პროსპექტზე მოხდა ავტომობილების დაჯახება. სწრაფად მიმავალი მსუბუქი ავტომანქანა, რომელსაც მართავდა შოფერი ლ. კ. ანთიძე, დაეჯახა მსუბუქ მანქანას № 3—65 (შოფერი კ. მ. შამათავა). როგორც გამოირკვა, შოფერი ანთიძე მთვრალი იყო. მანქანები საგრძნობლად დაზიანდა. შოფერი ანთიძე მსუბუქად დაშავდა, ორივე შოფერი პასუხისგებაში აძლევენ. ანთიძე საკუთარი ავტომანქანის პატრონია.

ოქტომბერი 5, 7, 9, 11	ხმოვანი სურათი გ. სუნდუკიანის პიესის მიხედვით პეპო სცენარი და დადგმა დამსახურებულ რეჟის. ა. ბეკ-ნაზაროვისა.
დამკვრელი (საზ.-საზამთ.) 6-30, 8, 9-30, 11	ახალი მხატ. ფილმი ფირმის საიდუმლოება სოფიო მაგარიძის მონაწილეობით.
ტემპი (საზაფხ.) ხმოვანი 8-30, 10-30	ხმოვანი ფილმი სომხეთის ნაწარმოები პეპო გ. სუნდუკიანის პიესის მიხედვით. სცენარი და დადგმა დამს. რეჟ. ა. ბეკნაზაროვისა.
რ. ლიუქსემბურგის სახ. 5, 7, 9, 11	
ეთერი (საზაფხ.) 9. 10-30	მხატვრული სურათი მიყვარხარ?
„26“-ის კომ. სახ. 7, 8-30, 10	საზაფხ.—კაცი მარტოდ დარჩა. საზამთ.—სმ. კომ. ფმ. იორგენის დღესასწაული
კომინტერნი საზაფხ. (დიდუბეში). 9, 10-15	მხატვრული ფილმი გიული ნატა ვაჩნაძის მონაწილეობით.

მონკავშირი აცხადებს
თავის წევრ მონადირეთა საყურადღებოდ, რომ 19 აგვისტოდან 20 სექტემბრამდე
იწარმოებს ძველი საწ. წიგნაკების შეცვლა
ახალი 1935 წლის წიგნაკებით.
ძველი წიგნაკები 20 სექტემბრიდან ითვლება გაუქმებულად.
9213 მონკავშირი.

საქ. სას. სამეურნეო ინსტიტუტის პარტკომი
წინადადებას აძლევს
სას.-სამ. ინსტიტუტის პარტორგანიზაციაში შემავალ ყველა პარტწევრ კანდიდატს გამოცხადდნენ ინსტიტუტის პარტკომში ა-წლის 28 აგვისტოს.
9216 სახ. სამ. ინსტიტუტის პარტკომი.

ა.ს.კ. ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტში
(პლეხანოვის გამზ. № 139)
კაპიტალური რემონტი დამთავრდა
და ავადმყოფების მიღება განახლებულია.
9218 ინსტიტუტის დირექცია.

ა-კ. დაუსწრებელი ინდუსტრ. ინსტიტუტი
საკ. მძიმე მრეწვ. კომისარიატისა
აგრძელებს მიღებას სამშენებლო, სამთო და ენერგეტიულ ფაკულტეტებზე
(რუსულ, ქართულ და სომხურ სექტორებზე).
ტფილისი, სამოსწავლო შესახვევი № 2. დირექცია. 9217

კონკურსი

შოთა რუსთაველის ძეგლის პროექტის შედგენისათვის.

1937 წელს შოთა რუსთაველის დაბადებიდან 750 წლის შესრულებასთან დაკავშირებით საიუბილეო კომიტეტი აცხადებს საკავშირო კონკურსს შოთა რუსთაველის ძეგლის (ტფილისში) პროექტის შედგენისათვის:

1. ძეგლის პროექტი შესრულებულ უნდა იქნეს შემდეგ პირობათა გათვალისწინებით:

ა) ძეგლი უნდა წარმოადგენდეს რუსთაველის პორტრეტულ ქანდაკებას, რომელსაც საფუძვლად დაედოს პოეტის არსებული უძველესი პორტრეტი; აგრეთვე მასალად გამოყენებულ იქნას შოთა რუსთაველის დროის მხატვრული დოკუმენტები;

ბ) გარდა პოეტის პორტრეტული ქანდაკებისა, ძეგლში მოცემულ უნდა იქნეს ვეფხის-ტყაოსნის იდეების, მოტივების თუ პერსონაჟების განსახიერება (ბარელიეფებისა თუ ფიგურების სახით);

გ) რუსთაველის ძეგლთან ერთად უნდა გაფორმდეს არქიტექტურულად თვით სკვერიც საქართველოში არსებულ ქვების მასალების გამოყენებით;

დ) ძეგლის სიმაღლე, კვარცხლბეკიანურთ, მიწის ზედაპირიდან უნდა იყოს არა უმეტეს 10 მეტრისა;

ე) ძეგლის მასალად გამოყენებულ უნდა იქნეს ქვა (მარმარილო, გრანიტი და სხვ.).

2. კონკურსზე ძეგლის პროექტის წარმოდგენის ვადად დაინიშნოს 1936 წ. აპრილის 1-ლის 15 საათი; თვით ძეგლის აგება დამთავრებულ უნდა იქნეს 1937 წლის ოქტომბრის 1-სათვის.

3. პროექტები წარმოდგენილ უნდა იქნეს დევიზებით, ხოლო დაბეჭდილ კონვერტში აღნიშნულ უნდა იქნეს ავტორის გვარი, სახელი, მამის სახელი და სწორი მისამართი. მონაწილენი, რომელნიც ტფილისის გარეთ იმყოფებიან აგზავნიან მე-4 მუხ. აღნიშნულ მასალებს ფოსტით ან ბარგად ქვემო ნაჩვენებ მისამართის მიხედვით, ამავე დროს უნდა აცნობონ საიუბილეო კომიტეტს დეპეშით პროექტის გამოგზავნა.

4. კონკურსზე წარმოდგენილ უნდა იქნეს:

ა) ძეგლის დეტალურად დამუშავებული ესკიზი, მაკეტის სახით (თაბაშირი), ზომით 1 მეტრ. სიმაღლისა და მთლიანად სკვერის გაფორმებით ნახატებზე;

ბ) ქანდაკების დეტალი. მხატვრულად დამთავრებული პოეტის ბიუსტი პორტრეტი (თაბაშირი), მასშტაბით არა ნაკლებ ბიუსტის ნატურალური ზომის ნახევრისა.

5. ძეგლის საუკეთესო პროექტებისათვის დაწესდეს სამი პრემია:

პირველი პრემია . . . . 30.000 მანეთი.
მეორე პრემია . . . . 20.000 „
მესამე პრემია . . . . 10 000 „

დაპრემიებული პროექტები საიუბილეო კომიტეტის კუთვნილებაა.

კონკურსის შედეგები გამოქვეყნდება გაზეთებში: „იზვესტია“-ს სსრკ ცაკისა „ზარია ვოსტოკა“-ში და „კომუნისტ“-ში

6. პროექტების განსახილველად და პრემიების მისაცემად ჟიური გამოყოფილ იქნება საიუბილეო კომიტეტის მიერ.

7. კონკურსის მონაწილეებს მოთხოვნილებისამებრ გადაეცემათ:

ა) პოეტის უძველესი პორტრეტის პირი;
ბ) რუსთაველის ეპოქის შესახები ისტორიულ-მხატვრული მასალები;
გ) ტერიტორიის გეგმა, სადაც აღმართულ იქნება ძეგლი.

8. საიუბილეო კომიტეტი უზრუნველყოფს კონკურსის მონაწილეებს კონსულტაციით რუსთაველისა და მის პოემასთან დაკავშირებულ საკითხთა შესახებ.

ყოველგვარი მიმართვები კონკურსის გამო გამოიგზავნება შემდეგი მისამართით: ტფილისი, საქართველოს სსრ სახკომსაბჭო, შოთა რუსთაველის საიუბილეო კომიტეტი.

ნ. 277 **შოთა რუსთაველის საიუბილეო კომიტეტი.**

შვილი მანადორა, სიძე მალაქია შეილაშვილები გოგი, ლუბა და სუხანა იუწყებიან მამის, სიმამრის და ბაბუას
ფილიპ ზახარიონის-ძე ორჯონიკიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 23 აგვისტოს სოფ. ლარიშაში.

გულმოკლულნი: მეუღლე ილია, მშობლები: სევერიანე, მარო, ძმა კოკული, რძალი ტატიანა, დები: ნადია, ჟულიეტა, იუწყებიან
ვერა ფანცულაია-ქუთათელაძის
უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა 22 აგვისტოს 5 სთ. ს. გამოსვენება ტრამვაის სახლიდან, მე-6 კორპუსი. 9211

დამწუხრებული მშობლები: ბიჭა, თებრონე, სიძე მელიტონ, და ნადია, დისწულები: ქეთო, თამარი იუწყებიან მათთვის დაუვიწყარი
ვალიკო ბურდილაძის
უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება 21 აგვისტოს 5 საათზე, ხუდადოვის ქ. № 45, დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 9209

დამწუხრებულნი ბებია ნატალია, ბაბუა ვასილი, ბიძები: ალიოშა, დათიკო, ილიკო, მალვა ფანცულაიები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ
ვერა (ბუცა) ფანცულაია—ქუთათელაძის
გარდაცვალების გამო. ხსოვ. პანაშვიდი 21 აგვისტოს 7 ს. ტრამვაელების სახლი, კორპუსი № 6. 9210

ს.-ტ. „საქ. ჩაის“ სამრეწველო სამმართველო მწუხარებით იუწყება ზონის ჩაის ფაბრიკის ტექნოლოგის ამხ.
მ. ჟუფარაძის
გარდაცვალებას. 9214

ს.-ტ. „საქ. ჩაის“ ზონის ჩაის ფაბრიკის სამკუთხედი და თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან ამავე ჩაის ფაბრიკის ტექნოლოგის
ამხ. მ. ჟუფარაძის
გარდაცვალებას. 9213

შვილები: ნინა და ვალოდია, სიძე გალუსტა გიგილაშვილი, რძალი მარუსა, შვილიშვილები: გოგა და ავეთოთი იუწყებიან
სილიბო ლუკას-ძე ტრაპაიძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი დღეს 6 ს. გამოსვენება 22 აგვისტოს 5 ს. არაკელის შეს. № 4. 9215

დამწუხრებულნი: ქმარი ვანო შერიძე, და ბარბარე რცხილაძე, ძმა ვანო ნაცვლიშვილი ცოლშვილით იუწყებიან, რომ 22 აგვისტოს 5 ს. ს. ველისციხეში დანიშნულია საოქ. პანაშვიდი
ვარვარა ვახტანგის ას. ნაცვლიშვილის
ხსოვნის აღსანიშნავად. 9220

ღრმად დამწუხრებული ცოლი ანეტა, რძალი ელენე შვილები ვალიკო, კაკო, ვახტანგი და შვილიშვილი ნანიკო იუწყებიან დაუვიწყარ საყვარელ მამის
ტარასი სალაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ჯაღლიში (ზესტაფონში). 9221

[illegible] № 1 გამომცემლობის რუსთაველის პროსპ. №34. ტელეფონები რედაქტორის 3—62—36, რედაქტორის მოადგილის 3—63—03, პასუხისმგებელი მდივნის 3—08—67, სამდივნოს 3—06—33, მას იბრივი განყოფილების 3—73—24, პარტ[illegible]ების 3—67—61, სამრეწველო განყოფილების—3—72—40, სტამბის 3—37—64, გამომცემლობის—3—61—81. ხელთნაწერებს რედაქცია ავტორებს არ უბრუნებს.
მთავლიტის რწმუნებული 8017